

იმეჯი

ყოველთვიური ჟურნალი

მაისი 2002 №3 (19)

www.imiji.ge

უნიკლება თუ არა
მიწისძვრების
ხელოვნურად
მოწყობა

მარსელამიზამა ანუ მუზეუმი
არაფრის ბაი



ფთხი, აღმაშენებლის 48



პროცესი, რომელიც გამორიცხავდა მზანიმუშების მექანიკურ გამეორებას და ითხოვდა მხოლოდ შემოქმედებით იმპროვიზაციას, საქართველოში წარმატებით განხორციელდა.

ევროპული მოკლენა საქართველოში არქიტექტურაში

როგორი გვინდა რომ იყოს ჩვენი ქვეყნის იერსახე, რა შთაბეჭდილებას უნდა ვტოვებდეთ სხვაზე, ანუ როგორი იქნება საქართველო მომავალში? უდავოა, ჩვენი საერთო ისტორიული და ყოვლისმომცველი სურვილი მუდამ იყო და იქნება ევროპელობა, ევროპაში თანაბარუფლებიანი ქვეყნის სტატუსი.

არქიტექტურა, საზოგადოდ, არის ხელოვნება, ეპოქის, ყოფის გამოხატვის საუკეთესო ხერხი და საშუალება, ადამიანთა გემოვნების, ხასიათისა და ცხოვრების წესიც კი. აშკარაა, საქართველო თანაბრად უბამს მხარს და თანდათან ემსგავსება სხვა ევროპულ ქვეყნებს. XX საუკუნის დასაწყისში, სრულიად ძალდაუტანებლად დაინერგა და გავრცელდა ევროპული არტ ნუვო, ანუ იგივე მოდერნი, როგორც მას ჩვენში უწოდებენ.

ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ხელოვნებაში მოდერნი XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ჩამოყალიბდა, საუკუნის დასასრულს კი, ახალი სტილი გამოვლინდა არქიტექტურაში. ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთსა და იტალიაში სავსებით ორიგინალური, უნიკალური ნიმუშები შეიქმნა.



ქუთაისი, თბილისი ქუჩის 57



ბათუმი, 9 აპრილის 12



თბილისი, ქაჭავაძის 4



თბილისი, დეგენის 7

ახალი სტილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გარდა, დამკვიდრდა საქართველოშიც. აქტიური კულტურული კონტაქტები ევროპასთან, ამ პერიოდის საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა. საკმარისია, აღვნიშნო ბელგიასთან წარმოებული საქმიანი ურთიერთობა XIX საუკუნის მიწურულს, როცა საქართველომ ბელგიის ანონიმურ ფირმასთან დადებული ხელშეკრულებით ელექტროტრამვაის გაყვანა დაიწყო დედაქალაქში. ბელგიელებმა ააშენეს ფუნიკულიორი 1905 წელს, თბილისში, მთაწმინდაზე.

ახალი სტილი სხვადასხვა სახელით (Art Nouveau, Jugendstil, Lilienstil, Wellenstil, Liberty, Style Floreal, Secession, Modernista, Style Metro, Glasgow Style) გავრცელდა მსოფლიოში. ახალი სტილის გავრცელების პროცესში, საქართველომ პირველად თავის ისტორიაში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, მიიღო მონაწილეობა. საუკუნეების განმავლობაში, ხელოვნების ყოველი ეტაპი თუ აქამდე პირობითად შეიძლება, მიგვესადაგებინა დასავლურ კულტურასთან, XX საუკუნის დამდეგს, პირველად ჩვენს ისტორიაში, თითქმის ევროპის თანადროულად ვრცელდება სტილი, რომელიც უთანაბრდება ევროპულ ხელოვნებას; სამწუხაროდ, ეს მოვლენა დღემდე სრულიად უცნობია ფართო საზოგადოებრიობისთვის როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ქვეყანა, რომელიც მიუხედავად ხანგრძლივი ევროპული ორიენტაციისა, ვერასოდეს ახორციელებდა მასთან მჭიდრო კულტურულ ინტეგრაციას, ვერ ახერხებდა დროულად და სათანადოდ გამოხმაურებოდა ევროპულ ხელოვნებაში მომხდარ მოვლენებს, სავსებით ბუნებრივად და აქტიურად ერთვება ახალი სტი-



ბათუმი, მწმინდა 3

ლის შემოქმედებით პროცესში და ქმნის მოდერნის მრავალფეროვან არქიტექტურას. ეს პროცესი, რომელიც გამორიცხავდა მზა ნიმუშების მექანიკურ გამეორებას და ითხოვდა მხოლოდ შემოქმედებით იმპროვიზაციას, საქართველოში წარმატებით განხორციელდა. მოდერნი გავრცელდა არა მხოლოდ თბილისში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც – ბათუმში, ქობულეთში, ფოთში, სოხუმში, გაგრაში, ქუთაისში, დუშეთში. მოდერნის სტილით შენდებოდა ბანკები, ლომბარდები, მაღაზიები, სკოლები, სახელოსნოები, კინო-თეატრები, საავადმყოფოები, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. თბილისის უძველეს ისტორიულ უბნებში გვხვდება მოდერნული რეკონსტრუქციის ნიმუშები. ხშირია ამ სტილით მხოლოდ ინტერიერების გაფორმება. საინტერესო მემორიალური ძეგლებია დაცული ისტორიულ სასაფლაოებზე. რაც შეეხება XIX საუკუნეში შექმნილ აივნებს ქალაქურ სახლს, მან მოდერნიც თავისებურად შეითვისა და ჯერ კიდევ ეკლექტიკის გავრცელების დროს ცენტრალური ფასადიდან, უკანა ეზოს მხარეს, განდევნილი ხის აივნები მოდერნული დეკორით მიანიშნა.

სამწუხაროდ, საქართველოში სავსებით ორგანული და წარმატებით დაწყებული შემოქმედებითი პროცესი საბჭოთა ეპოქამ შეაჩერა და გაურკვეველი დროით გადაავადდა. საბჭოთა რეჟიმში მოდერნს ბურჟუაზიულ, დეკადენტურ კულტურად მიიჩნევდა. ამდენად, სათანადოდ არც შესწავლილა და შესაბამისად, არც განხორციელებულა დამცავი ღონისძიებები. ამის გამო ბევრი ნიმუში დაიკარგა, ბევრიც გადაკეთდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოდერნის ნიმუშებით სიამაყის უფლება დღეს თავად ევროპაშიც კი მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს, სრულიად ნათელი გახდება ჩვენი დაუდევრობით გამოწვეული დანაკარგის სიმძიმე.

საქართველოს მოდერნის დაცვის ჯგუფის მიზანია მოდერნის სრული გამოვლენა და შესწავლა, აგრეთვე მისი ფართო პოპულარიზაცია, დაცვის და გადარჩენის ქმედითი ზომების გატარება. ამ მიზნით, გასული წლის 2 თებერვალს თბილისში, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ჯგუფის თაოსნობით გაიხსნა ფოტოგამოფენა „მოდერნი თბილისში“,

დაიბეჭდა გამოფენის ამსახველი ქართულ-ინგლისურენოვანი ფერადი კატალოგი და პლატაკი. შევეცადეთ, კულტურის ეს უცნობი ნაწილი ერთი საუკუნის შემდეგ მაინც წარგვედგინა საზოგადოებისთვის.

გამოფენის ორგანიზებისას თავიდანვე განზრახული გვქონდა ფოტოგამოფენის ევროპის ქვეყნებში გატანა. ამდენად, სიხარულით შევხვდით გერმანელთა გამოხმაურებას საარბრიუკენსა და ბერლინში მიწვევის თაობაზე. საგულისხმოა, რომ გერმანიის შემდეგ გამოფენას ბრიუსელში, პარიზსა და ვენაშიც ელიან (მიმდინარეობს მოლაპარაკება ლონდონთანაც), გერმანიაში გამოფენის ორგანიზებისა და თვითმფრინავის ბილეთის ხარჯებს გერმანული მხარე გაიღებს, დახმარებას გვპირდება საქართველოს კულტურის სამინისტროც, მაგრამ სხვა ქვეყნებში გამოფენის გასატანად საჭიროა დამატებითი ფინანსების მოძიება. ვიმედოვნებთ, საზოგადოება, კომერციული და სამთავრობო სტრუქტურები, მეცენატები დაინტერესდებიან აღნიშნული პრობლემით და დაგვეხმარებიან ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში.

ნესტან თათარაშვილი



ბათუმი, ქაჭავაძის 3/3